

როგორ ვიმუშაოთ მოსწავლეებთან, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული მეტყველების პრობლემები აქვთ

ასმათი ჩხიტუნბიძე

ს.ს.ი.პ მიხეილ გრუსევსკის სახელობის ქ. თბილისის N 41 საჯარო სკოლის აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეთა ინტეგრირებული კლასის მასწავლებელი

ანოტაცია

მეტყველების დარღვევები ძალზე მრავალფეროვანია. მათ განსხვავებული ბუნება და მიზეზები აქვთ. თუმცა, მათ აერთიანებთ ის, რომ ყველა შემთხვევაში დარღვეულია გარემოსთან ენის საშუალებით კომუნიკაცია. არასწორი მეტყველება ხშირად აფერხებს ბავშვის აზროვნების ჩამოყალიბებას, გავლენას ახდენს მის საერთო განვითარებაზე, ზოგჯერ ხასიათის ცვლილებებსაც იწვევს. ეს პრობლემები უფრო მძაფრდება მაშინ, როდესაც მოზარდი მიეკუთვნება სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა კატეგორიას.

წერილში განხილულია სხვადასხვა ტიპის დარღვევების სპეციფიკა, დამახასიათებელი ქცევები და განხილულია საინტერესო და აპრობირებული სტრატეგიები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეკომენდაციები სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მომუშავე ადამიანებისათვის.

საკვანძო სიტყვები მეტყველების დარღვევები, სპეციალური საჭიროებების მქონე მოზარდები, პრობლემები, სტრატეგიები, ინდივიდუალური მიდგომა, თამაში.

მეტყველების დარღვევები, რომლებსაც ვხვდებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან

არასწორი მეტყველება ხშირად აფერხებს ბავშვის აზროვნების ჩამოყალიბებას, გავლენას ახდენს მის საერთო განვითარებაზე, ზოგჯერ ხასიათის ცვლილებებსაც იწვევს - გულჩათხრობილობას, თავის თავში დაურწმუნებლობას, იშვიათად ნეგატივიზმსაც. ყველაფერი ეს თავის მხრივ გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკურ ჩამოყალიბებაზე, მით უფრო რთული სიტუაციაა, როცა ბავშვი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისაა.

იმისათვის, რომ ჩვენ ვილაპარაკოთ, აუცილებელია ნორმალურად სუნთქვა, ხმა და არტიკულაცია, საჭიროა, გამოიცეს ხმა, წარმოითქვას ბგერები, სიტყვები, წინადადება.

თუ ერთ-ერთი კომპონენტი სათანადოდ არაა განვითარებული, შესაძლებელია ადამიანი ნორმალურად ვერ მეტყველებდეს, ან, შესაძლოა, ნაწილობრივ ილაპარაკოს, თუ სუნთქვა სუსტია, ხმაც სუსტია, ძნელად გასაგები. თუ არტიკულაცია დარღვეულია, სამეტყველო ორგანოების მოძრაობა შეზღუდულია, მაშინ ბგერა სწორად არ წარმოითქმის.

ბავშვის მეტყველების განვითარება ხასიათდება ინდივიდუალური თავისებურებებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა უმეტესობას ახასიათებს: უმთავრესად სისინა, შიშინა და რ-ლ ბგერათა არასწორი წარმოთქმა, ფონემატური აღქმის ჩამოუყალიბებლობა, რაც გამოიხატებაერთი ბგერის დარღვევით ან რამდენიმე ბგერის არასწორი წარმოთქმით, აგრეთვე ბგერათა აღრევა და სიტყვის შედგენილობის გართულებული აღქმა: ბავშვებს უძნელდებათ მოცემულ ბგერაზე სიტყვების დასახელება (მაგ: სარკე, საათი, სპილო და ა.შ: სიტყვის შეცვლა ბგერის საშუალებით (გორი-ქორი-ღორი: ტურა-მურა-ზურა). ხშირად ერღვევათ სიტყვის სტრუქტურაც (თვითმფრინავი-ფრიფრინავი; ბანანი-ბაბანი; და ა.შ.

დარღვევები მოიცავენ: სიტყვიერი მარაგის სიმწირეს, შესაბამისი სიტყვების შერჩევის სირთულეს, შემოკლებული ფრაზების გამოყენებას, წინადადების არასწორ სტრუქტურას: ხშირია სინტაქსური შეცდომები- ისეთი გრამატიკული კატეგორიების არასწორი გამოყენება ან გამოტოვება, როგორებიცაა: ზმნისწინები, ნაცვალსახელები. აგრეთვე პრობლემურია ზმნის უღლება ან არსებითი სახელის ბრუნვა. მოზარდს შეიძლება ახასიათებდეს წესების არასწორი ან გადამეტებულად განზოგადებული გამოყენება. აგრეთვე აღენიშნებოდა მეტყველების მოქნილობის დარღვევა და

წარსული გამოცდილების მოყოლისას მოვლენათა თანმიმდევრობის გადმოცემის სირთულეები.

მოსწავლე დაუნის სინდრომით-- ზოგადად რომ დავახასიათოთ მას აქვს კუნთთა დაბალი ტონუსი, პირის ზომასთან შედარებით დიდი ენა, არასწორი თანკბილვა, შესაბამისად, მისი მეტყველება უმეტეს შემთხვევაში მსმენელისთვის გაუგებარია, არასწორად წამოთქვამს ბგერებს, სიტყვებს;

მოსწავლე ცერებრალური დამბლით --- დარღვეულია მოტორული ფუნქციების ჩამოყალიბება: თავის დაჭერა, მანიპულაციური ქმედებები, თანმიმდევრული მოძრაობების შესასრულებლად საჭირო/მოქნილი საკუთარი კუნთური ტონუსის შეცვლის უნარი. კუნთთა ტონუსი შეიძლება იყოს ან ძალიან დაბალი, ან ძალიან მაღალი. შესაძლოა ორივე ერთად; მოსწავლეთა მეტყველების დარღვევას თან ახლავს არტიკულაციის დარღვევები და ა.შ

არის შემთხვევები, როცა, მიუხედავად მეტყველების პრობლემებისა, ბავშვს უნდა ურთიერთობა და სიტყვების ნაკლებობის კომპენსაციას ცდილობს იმით, რომ იყენებს ჟესტებს, მიმიკებს, ან არამეტყველებით ვოკალიზაციებს, თუ შეკითხვა მოკლე წინადადებითაა გადმოცემული და ჟესტი ახლავს, მაშინ შეიძლება უფრო გაიგოს.

მოსწავლეებს უჭირთ, მიმართული მეტყველების გაგება, ანუ რეცეპტული მეტყველება.

სხვა პრობლემები, რომლებიც თან ახლავს მეტყველების დარღვევის მქონე მოსწავლეებს

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

მეტყველების პირველადი დარღვევები სხვა პრობლემებსაც იწვევენ, რომლებსაც შეიძლება შევხვდეთ მაშინაც კი, როდესაც მეტყველების დარღვევის სიმპტომები ქრება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ბავშვის სხვა შემეცნებითი ფუნქციებისა და ემოციური სფეროს შესწავლა.

მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ მეტყველების პრობლემები, აღენიშნებათ:

1. **კითხვის პრობლემები** - ბევრად უფრო უძნელდებათ კითხვის ათვისება, ვიდრე იმ ბავშვებს, რომლებსაც მეტყველების დარღვევა არ აღენიშნებათ;

2. **ინტელექტის პრობლემები:** სოციალურ-ემოციური და ქცევითი პრობლემები ---- სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების სირთულე, თანატოლებთან ურთიერთობები, მაღალი შფოთვა, ყურადღების დეფიციტი, აგრესიული ქცევა, ურჩობა, ისტერიკები.

3. არ იციან განზოგადებული სიტყვები, **საგანთა დაჯგუფება ერთი ნიშნის** მიხედვით - ჭურჭელი, ტანსაცმელი, ხილი, ბოსტნეული, შინაური ცხოველები და ა.შ.

4. უჭირთ **მათემატიკური აზროვნება** --- რიცხვების თანმიმდევრულად თვლა, მითითებული რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვების დასახელება, სივრცითი

მიმართებების პრობლემა, 6-9 ციფრის გარჩევა, თითების რაოდენობრივად გამოსახვა, რიცხვის დაკავშირება შესაბამის გროვასთან.

5. **ფსიქიკური ფუნქციების განუვითარებლობა** --- აღქმა, აზროვნება, მეხსიერება, ნებისყოფა...

6. მეტყველების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვის **ნატიფი მოტორიკის** განვითარებასთან, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობაც.

პრინციპები, რომლებიც უნდა დაიცვას ყველა იმ პიროვნებამ, ვისთანაც ბავშვს უწევს მუშაობა -- ყოფნა:

თქვენ ამბობთ სწორად, ბავშვს არ ეუბნებით გაიმეოროს. შეგიძლიათ დაუსვათ კითხვა. თუ კითხვაზე პასუხს არ გცემთ, გააკეთე პაუზა და შემდეგ თქვენ თვითონვე უპასუხეთ.

ბავშვს არ ვეუბნებით „თქვი“ და „გაიმეორე“

- **თვით - საუბარი:** როდესაც რაიმეს აკეთებთ და ბავშვიც იქვეა, თქვენ აკონკრეტებთ თქვენს მოქმედებებს მაგ: „მე ვწერ დაფაზე“, „ახლა გავაფერადებთ მანქანის სურათს,“ „ეს მაგიდაა“ და ა.შ; მთავარი ამოცანაა მოქმედებების შესაბამისი სწორი წინადადებების მოდელირება მხოლოდითი- მრავლობითი რიცხვში, მიცემით-ნათესაობითი ბრუნვით,
- სივრცითი მიმართებების აღმნიშვნელი სიტყვებით - ზე, ში, წინ, უკან, ზემოთ, ქვემოთ.

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

- *პარალელური საუბარი:* ბავშვის მოქმედების გახმოვანება, როდესაც ბავშვი რაიმეს აკეთებს, თქვენ ახმოვანებთ (მაგ: მარი აფერადებს „ა“-ასოს, „მარი ადგა“ „მარი ზის“...)
- *სწორი ექო:* როდესაც ბავშვი რაიმეს ამბობს არასწორად, თქვენ მშვიდად იმეორებთ იმავეს სწორად და სწორი ინტონაციით (ვაჩვენოთ ბანანის სურათი მოსწავლე ამბობს: „აი ბანანი“, ჩვენ ვეუბნებით სწორად: „ეს ბანანია“)
- *განვრცობა:* როდესაც ბავშვი გეუბნებათ ერთი სიტყვით, ან მარტივი 2-3 სიტყვიანი წინადადებით რაიმეს, თქვენ იგივე უთხარით სწორად აგებული რთული წინადადებით (ეს სტრატეგია არ გამოიყენოთ ყველა მარტივ წინადადებასთან დაკავშირებით).
- სპეციალისტების პარალელურად აუცილებელია მშობლის აქტიური მონაწილეობა ბავშვის მეტყველებაზე მუშაობის პროცესში. ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ბავშვი არ აიძულოთ წარმოთქვას რაიმე სიტყვა ან წინადადება, ან სწორად გაიმეოროს სიტყვა, ან ბგერები. გარშემომყოფთა დაჟინებული მოთხოვნა ბავშვს უარყოფით დამოკიდებულებას უყალიბებს

თავად მეტყველების პროცესისადმი, რადგან მას გამუდმებით სთხოვენ იმის გაკეთებას, რაც მას არ შეუძლია, ან უჭირს.

- ბავშვს უნდა ჰქონდეს კარგად სტრუქტურირებული დღის რეჟიმი: კვებისა და ძილის დრო არ უნდა ეცვლებოდეს. დამინების რიტუალი უნდა იყოს ყოველთვის მსგავსი.
- ყოველთვის წავახალისოთ ბავშვის საუბარი;

მუშაობა ერთდროულად იწყება, როგორც მეტყველების, ასევე ფსიქიკური ფუნქციების განვითარებაზე.

მუშაობის ტემპი მეტად ძნელია. გაცილებით უფრო ეფექტურია ისეთი მეთოდი, რომლის მიხედვით მიმდინარეობს სიტყვების, მოკლე -- წინადადებების აღქმა -გაგება-წარმოთქმა. ბავშვი აღიქვამს არა ცალკეულ ბგერას, არამედ სიტყვას. ბავშვი ადვილად იმახსოვრებს სიტყვებს, იწყებს მათ წარმოთქმასაც, მართალია, პირველ ხანებში სიტყვა წამოითქმის დამახინჯებულად, მაგრამ ხშირი გამეორების შემდეგ ბგერების წარმოთქმა დაიხვეწება და სიტყვა უფრო მკაფიოდ ისმის.

გამოსწორების გზები

- ✓ სუნთქვითი ვარჯიშები;
- ✓ საარტიკულაციო (ენა, ყბა, ტუჩები, ლოყები) აპარატის ვარჯიშები;
- ✓ ფონემატური სმენის განვითარება;
- ✓ სურათების დასახელება, სავარჯიშო ბგერების მარცვლების (ღია-დახურული) მკაფიო წარმოთქმა;
- ✓ ლექსის, მოთხრობის დასწავლა სიტყვაში სავარჯიშო ბგერის მკაფიოდ წარმოთქმით;

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

- ✓ რეზუსის, გამოცანის ამოხსნა; ენის გასატეხის დასწავლა;
- ✓ მულტიმოდალური მეთოდის გამოყენება;
- ✓ მსგავსება-განსხვავება--ილუსტრაციებზე მუშაობა;
- ✓ წერის-კითხვის დარღვევებზე მუშაობა;
 - ა) სურათის სახელწოდების შედგენა მოძრავი ანბანით, შედგენილი სიტყვის ჩაწერა რვეულში;
 - ბ) სურათის წარწერაში გამოტოვებული ასოების (ან კონკრეტული ერთი ასოს ჩამატება) ჩაწერა;
 - გ) წინადადების შედგენა გამოტოვებული სიტყვებით;
 - დ) ტექსტის კითხვა (ლექსი, მოთხრობა, ანდაზა, რეზუსი);
 - ე) მოცემული სიტყვებით მოკლე წინადადებების შედგენა და ჩაწერა რვეულში;
- ✓ მათემატიკური აზროვნების განვითარება -პრაქტიკული სავარჯიშოები;
- ✓ მაგალითები ილუსტრაციაზე დაყრდნობით;
- ✓ ისეთი მაგალითები რომელიც სინამდვილეს შეესაბამება;
- ✓ თვალსაჩინოების და მულტიმედიური ტექსტების ეფექტურად გამოყენება საგაკვეთილო პროცესში: სურათების, სქემების, ანიმაციური, მულტიმედიური პრეზენტაციების ან სხვა

საშუალებების გამოყენებით მოსწავლისთვის უფრო თვალნათელი გახდება მნიშვნელოვანი სიტყვები, აზრები.. თვალსაჩინო, ანიმაციური, მულტიმედიური პრეზენტაციები და მსგავსი საშუალებები უფრო ნათელ და წარუშლელ კვალს ტოვებს მოსწავლის გონებაში, ვიდრე მხოლოდ სიტყვები. მათი გამოყენებით უფრო ეფექტურად ასწავლი სხვებს. როდესაც აღნიშნულ სტრატეგიებს, თან ერთვის თვალსაჩინო საშუალებები, ბავშვი ინფორმაციას ერთდროულად გრძნობს ორი ორგანოთი აღიქვამს. ამის დახმარებით უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენ მოსწავლეზე და მეტი ინტერესით მოგისმენს (პოვერ პოინტში „პეპელა და ფუტკარი)...

შემოგთავაზებთ იმ აქტივობებს, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ საგაკვეთილო პროცესის დროს. რთული და შეუძლებელია ყველა იმ აქტივობის გამოყენება, რომელთაც ლოგოპედიური მეცადინეობა მოითხოვს, თუმცა საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული, თუნდაც მცირედი აქტივობები დიდად შეუწყობს ხელს მოსწავლის მეტყველებას.

სუნთქვითი ვარჯიშები საგაკვეთილო პროცესის დროს

დავჭრათ ერჯერადი ცელოფანი სიგრძეზე და მივამაგროთ მუყაოზე, რომელსაც ექნება სურათის ჩასადები ჯიბე (დაჭრილი ცელოფანი იქნება ე. წ ფარდა) კონკრეტული საგაკვეთილის თემიდან გამომდინარე ე. წ ფარდის უკან ჩავდებთ, დავმაღავთ სურათს (ხმოვანს, სიტყვას დაწერილს); მოსწავლეს ევალეზა შეუბეროს სული და ამოიციოს, რა სურათია, სიტყვაა, ასოა ფარდის უკან

(სურათი იხ. სლაიდში);

The 3rd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
5-6 Desember, 2014, Materials

პოლიეთილენის ბოთლში ჩავყაროთ „პენოპლასტი“ , კონკრეტული თემიდან გამომდინარე, ასევე ჩავაგდოთ პატარა სურათი, ასო, ან ნივთი (უკეთ აღსაქმელი რომ იყოს, კარგია ცოტა მაგარ მუყაოზე თუ დავაკრავთ), ბოთლში ჩავდოთ წვეწარუპი. მოსწავლეს ევალება ჩაბეროს სული წვეწარუპით და გამოიცნოს, რა სურათია (ასო) პოლიეთილენის ბოთლში (სურათი იხ. სლაიდში).

საარტიკულაციო აპარატის აქტივობები

გაკვეთილის კონკრეტული თემიდან გამომდინარე, შეიძლება მიმიკებით, ტუჩების მოძრაობით გამოვხატოთ სხვადასხვა მოქმედება; იმიტირება მოვახდინოთ ცხოველთა, ფრინველთა ხმების.

განწყობის შესაქმნელად დავსვათ კითხვა: დღეს როგორ ხასიათზე ვარ? თუ თქვეს, რომ კარგ ხასიათზე, ვაჩვენებ სმაილს და მოსწავლეებს ევალებათ მიმიკებით გამოსახონ, იმიტაცია გააკეთონ-გაილიმონ.

თუ დილიდანვე ცუდ განწყობაზე იყვნენ, შესაბამისი სმაილის ჩვენებით მოსწავლეები ამასაც გამოსახავენ.

ფონემატური სმენის განვითარების აქტივობები საგაკვეთილო პროცესის დროს

კონკრეტული თემიდან გამომდინარე, წინასწარ გამზადებულ, გამოჭრილ სურათებს დავდებთ ოთახში სხვადასხვა მხარეს, მასწავლებელი, ასისტენტი, ან მოსწავლე (რომელსაც შეუძლია) გაახმოვანებს ერთ-ერთ სურათს. მოსწავლეს ევალება დადგეს იმ სურათთან, რომელიც გაახმოვანა მასწავლებელმა.

სიტყვებით თამაში: დაფაზე მიმაგრებულია 3-4 სურათი, მასწავლებელი ერთ-ერთ სურათს წარმოთქვამს ასო -ასო, ვიწყებთ ერთმარცვლიანი სიტყვებით და თანდათან ვართულებთ (თემიდან გამომდინარე);

ერთი მოსწავლე დგას ზურგით, დანარჩენი მოსწავლეები რიგრიგობით წარმოთქვამენ მის სახელს, მოსწავლეს ევალება გამოიცნოს, ვინ ეძახის.

სხვადასხვა ხმის მოსმენა და გამოცნობა (თავიდან ,რა თქმა უნდა, საგნების, ცხოველების, ფრინველების, ბუნებრივი მოვლენების და ა.შ გაცნობასთან ერთად ვასმენინებთ ხმებს), რამდენიმეს მოსმენისა და გაცნობის შემდეგ ვთხოვთ, მოისმინოს ხმა , დააკავშიროს სურათთან და დაასახელოს, რა გამოსცემს მოსმენილ ხმას.

წავახალისოთ, ითამაშონ როლური თამაშები, დადგან მარტივი „სპექტაკლები“...

მაგ: კლასში გაითამაშონ ზღაპარი „თალგამი“, მაგრამ ზღაპრის გმირები იყვნენ მისი კლასელები მაგ: ბაჩო თალგამი დარგო (მივცეთ თალგამის სურათი და დადოს იატაკზე, ჩაეჭიდა ბაჩო თალგამს, მოსწია, მოსწია და ვერ ამოსწია, დასახმარებლად დაუძახა მარის: (ამ დროს ბაჩო ეძახია მარის) მარი, მარი ! მარი აგონებს: ბატონო... ბაჩო ეძახის (როგორც შეძლებს) და განაგრძობს: მოდი, თალგამი ამომადებინე ,.. მარი მოდის და დგება ბაჩოს უკან, შემდეგ მარი ეძახის მსგავსადვე: მათე... და ა. შ მთელი კლასი

ერთვება..... მასწავლებელი თავიდან . ეკითხება: ბაჩო, შენ ვის დაუძახე? ბაჩო პასუხობს: მარის,... მარი, შენ წინ ვინ დადგა? მარი პასუხობს: ბაჩო და ა.შ; --აბა, დავითვალოთ, სულ რამდენი მოსწავლე იღებს თალგამს... მოსწავლეები ითვლიან, ასევე ასახელებენ ვინ ვის წინ დგას, ვის უკან ვინ დგას, ბოლოში ვინ დგას და ა.შ. ამრიგად, აღნიშნული სტრატეგიების ადეკვატურად გამოყენება სხვადასხვა აკადემიურ სფეროში გამოვლენილი სირთულეების დაძლევისა და მოსწავლის სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ინკლუზიური განათლება“ ა.ლალიძე, მ. ბაგრატიონი, თ პაჭკორია.
2. „ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები“ თ. გაგოშიძე
3. “განვითარებისა და სწავლების თეორიები”.
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი I – IV კლასები გზამკვლევი მასწავლებლებისთვის 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით);
5. თ. ფერაძე „ლოგოპედიური მუშაობა არამკვეთრად გამოხატული მეტყველების დარღვევების მქონე ბავშვებთან“